MES 4 20 0001208655

17/12/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის ოთხ დეკემბერს. (04.12.2020)**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითიინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გაგა გვენეტაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტი:

შალვა პეტრიაშვილი - რექტორი;
თემურ ხუროძე - კანცლერი;
ავთანდილ გაგნიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
ნინო შარაშენიძე - დეკანი;
გია წილოსანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ლელა ვანიშვილი - სასწავლო პროცესის სამსახური.

2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

გიორგი მათიაშვილი - რექტორი;
ელი ელისაშვილი - აღმასრულებელი დირექტორი;
მაია უკლება - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
გელა ალადაშვილი - ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
გივი ლობჟანიძე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
ნინო ბოჭორიშვილი - სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ინგა დიაკონიძე - საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი;
თალიკო ჟვანია - სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურის უფროსი;
სოფო თევდორაძე - რექტორის აპარატის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. *შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტი - ექსპერტები:*

ია მოსაშვილი;
დავით მაკასარაშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:11 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა წარადგინა ვიზიტზე მყოფი ექსპერტები - ია ფანცულაია და დავით მაკასარაშვილი (სტუდენტი ექსპერტი). მისი განმარტებით, ვიზიტი ემსახურებოდა ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგს, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა კონტიგენტის მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნას. მათ განიხილეს მხოლოდ ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან დაკავშირებული საკითხები. ექსპერტმა მიუთითა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 11 სექტემბერს და აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტაცია უნივერსიტეტისაგან მიიღეს დროულად. ექსპერტმა გააცნო საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მესამე სტანდარტის ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.
პირველი რეკომენდაციის მიხედვით, რომელიც 3.1 ქვესტანდარტს ეხებოდა, უნივერსიტეტის ყველა ოფიციალური დოკუმენტი უნდა ყოფილიყო დათარიღებული და დამტკიცებული შესაბამისი სტუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი პირის მიერ. ექსპერტის თქმით, 2019 წელს უნივერსიტეტს ჰქონდა განაცხადი ავტორიზაციის მოპოვებასთან დაკავშირებით, როდესაც გაიცა რეკომენდაციები, განსაკუთრებით კი მესამე სტანდარტთან მიმართებით. ამ რეკომენდაციების შესრულების მიზნით, უნივერსიტეტში 2019 წელსვე შეიქმნა აკადემიური საბჭო, სადაც ძირითადად განიხილავდნენ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემუშავების საკითხებს. საგანმანათლებლო დაწესებულებამ შექმნა ჯგუფი, რომლის თავმჯდომარე იყო რექტორი. თუმცა დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ფარგლებში იქნა შემუშავებული უნივერსიტეტმა ექსპერტებს წარუდგინა ფაილების სახით ყოველგვარი ბეჭდისა თუ ხელმოწერის დამტკიცების გარეშე, შესაბამისად ოფოციალური წესების დაუცველად. ამ ფაქტმა ექსპერტებს დამატებითი კითხვები გაუჩინა, ამ მიზეზით კი გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.
შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამაში ჩართულ ყველა პერსონალს დეტალურად უნდა სცოდნოდა პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებული სწავლების მეთოდოლოგია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა გადამოწმდა. აკადემიური პერსონალის მოსაზრებებიც პროგრამაში გარკვეულწილად გათვალისწინებული იყო, თუმცა ექსპერტებმა რეალურად იგულისხმეს ის, რომ მაგალითად, დეკანატის ჩართულობა მხოლოდ პროგრამის დაგეგმვის პროცესით არ უნდა ყოფილიყო შემოფარგლული. შესაბამისად, პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე პერსონალი სრულად უნდა ყოფილიყო ჩართული სწავლების მეთოდოლოგიაში და სრულად სცნობოდათ იგი.
„პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულების წამყვან პოზოციებზე დაკავებული პერსონალი ემსახურებოდეს აღნიშნული უნივერსიტეტის საქმიანობას საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.“ ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა

სტრუქტურული ერთეულების წამყვან პოზიციებზე დასაქმებულ პერსონალზე, თუ რამდენად სრულფასოვნად გაუძღვებოდა პროგრამისა თუ უნივერსიტეტის საქმიანობას პერსონალი, როდესაც იგი პარალელურად მაღალ თანამდებობას დაიკავებდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.
„გათვალისწინებულ იქნას პროგრამის შემუშავებაში ჩართული დამსაქმებლების მოსაზრებები, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და იმპლემენტაციისას.“ ექსპერტის მითითებით ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, რადგან პროგრამის შეფასებისას აღინიშნა, რომ იგი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ბაზრისთვისთვის მნიშვნელოვანია. გამოკითხვის შედეგად ოცამდე დამსაქმებელმა ხაზი გაუსვა ამ პროგრამის აუცილებლობასა და საჭიროებას. შესაბამისად, ექსპერტები ელოდნენ მეტ ჩართულობას დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს. შეხვედრაზე სამი დამსაქმებელი იმყოფებოდა, ისინი არ იცნობდნენ პროგრამას. შესაძლოა კონკრეტულად შეხვედრაზე მყოფი ადამიანები არ ყოფილიყვნენ ჩართულნი, თუმცა ისინი აღნიშნავდნენ, რომ ის დაწესებულებები რომლებსაც წარმოადგენდნენ ამ უნივერსიტეტის პარტნიორები იყვნენ და უწევდნენ რეკომენდაციას. აღნიშნავდნენ მზაობას პროგრამის განვითარების ხელშეწყობისათვის, თუმცა არ იცნობდნენ მას.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიუთითა, რომ ექსპერტის მიერ განხილული შენიშვნები ძირითადად ეხებოდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას, რომელთან მიმართებითაც დაწესებულების სააკრედიტაციო პროცესი არ იყო წარმატებული. ამ პროგრამას დაწესებულება ამავე მონაცემებით ისედაც ვერ განახორციელებდა, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით ინსტიტუციურ ხარვეზებზე უფრო მეტად ყურადღების გამახვილება უმჯობესი იქნებოდა. თამარ ზარანდიას განმარტებით, მოუწევდათ იმ ხარვეზებზე საუბარი, რაც ეხებოდა იმ პროგრამას, რომელმაც აკრედიტაცია ისედაც ვერ გაიარა.
დაწესებულების წარმომადგენელმა დასვა შეკითხვა განიხილებოდა თუ არა საბჭოზე დიპლომირებული მედიკოსის საკითხი. მას საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა და ახსნა, რომ ამ პროგრამის სააკრედიტაციო პროცესი არ ყოფილა წარმატებული. შემდგომ დაწესებულებამ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, თუმცა სააპელაციო სასამართლომაც გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, ძირითადად დაწესებულების მიზანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელება იყო, მაგრამ რაკი აკრედიტაცია არ აღმოჩნდა წარმატებული, დაწესებულება ამ მიმართულებით უკვე ვერ წავიდოდა. თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ როგორი იყო დაწესებულების სტრატეგია და რა სამომავლო ნაბიჯები იგეგმებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ისინი აპირებდნენ პროგრამის განხორციელებას, ხელახლა შემოიტანდნენ განაცხადს ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებით. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მართალია გადაწყვეტილება დაწესებულების მიმართ უარყოფითი იყო, თუმცა გამოითქვა მოსაზრებები რომ პროგრამა იყო ძალიან ძლიერი და ამბიციური. ეჭვები გაჩნდა, თუ რამდენად იყო მზად იმისთვის, რომ უნივერსიტეტი ასეთი ამბიციური პროგრამა განეხორციელებინა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანდნენ, გაზრდიდნენ თანამშრომელთა რაოდენობას, კიდევ ერთხელ ეცდებოდნენ რომ პროგრამისათვის აკრედიტაცია მოეპოვებინათ. დაწესებულების წარმომადგენლები დაინტერესებულნი იყვნენ შეზღუდვის მოხსნით, ისინი გეგმავდნენ პირველ ეტაპზე 50 სტუდენტის მიღებას. ჯანდაცვის მართვის სამაგისტრი პროგრამასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ აპირებდნენ სააკრედიტაციო განცხადების შეტანას, ამავდროულად კვლავ აკრედიტაციაზე შეიტანდნენ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასაც. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, დაწესებულებაში გაიზარდა მომუშავე პერსონალის ოდენობა.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც პირველად აკრედიტაციაზე მიიღეს უარი, შემდგომ გადაწყვეტილება სააპელაციო საბჭომ განიხილა და დაუბრუნდა განსახილველად ისევ აკრედიტაციის საბჭოს. აკრედიტაციის საბჭოს შემდგომ, დაწესებულების მხრიდან მოხდა შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება. შენიშვნების გაცემის

შემდგომ, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა კონკურსი, რის შედეგადაც მიიღეს 12 ახალი აკადემიური პერსონალი. კლინიკურ და სასწავლო ლაბორატორიასთან გაცემული შენიშვნის საპასუხოდ მათ ააშენეს სრულიად ახალი შენობა ალადაშვილის კლინიკაში, სადაც გათვალისწინებული იქნა, როგორც სტუდენტური აუდიტორიები, ასევე სხვა ყველა შესაძლებლობა კლინიკური და სასწავლო ლაბორატორიებისათვის. როგორც სამაგისტრო, ასევე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტების მიღების უფლებას ითხოვდნენ იმის გამო, რომ ისინი აუცილებლად ორივე პროგრამას წარმოადგენდნენ აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სხდომაზე განიხილებოდა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშრებით და საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზებულ რეჟიმში ჰქონდა ერთადერთი პროგრამა - ჯანდაცვის მენეჯმენტი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გაეგრძელებინა რეკომენდაციებზე საუბარი.

ექსპერტმა მიუთითა, რომ შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით შემუშავებული უნდა ყოფილიყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.მან აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციის შემდეგ უნივერსიტეტმა ნამდვილად გაწია გარკვეული შრომა და შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, სადაც გაწერილი იყო აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა. თუმცა დეტალურად იყო გასაწერი ის კრიტერიუმები, რითაც შეიძლებოდა შეფასებულიყო აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი. ექსპერტის თქმით, მექანიზმი არსებობდა, მაგრამ კრიტერიუმები დეტალურად გასაწერი იყო. დაწესებულება ყოველწლიურად ატარებდა გამოკითხვებს, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტები გაესაუბრნენ პერსონალს. დასტურდებოდა ის, რომ გამოკითხვებში მონაწილეობას პერსონალი იღებდა. თუმცა, ექსპერტის აზრით მნიშვნელოვანი იყო კითხვარების შეფასების ანალიზის დოკუმენტი, რომელსაც კრიტერიუმები გასაწერი ჰქონდა.

შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში უნდა ასახულიყო შინაარსობრივი კავშირები ქვედა რგოლის ადმინისტრაციულ სამსახურებს შორის. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო წინა ავტორიზაციის პერიოდშიც, ექსპერტებმა მოითხოვეს ორგანიზაციული სტრუქტურის ახალი სახე, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა, თუმცა ექსპერტებმა ისევ ვერ დაინახეს შინაარსობრივი კავშირი ადმინისტრაციულ სამსახურებს შორის.

„გაფართოვდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე, აღიჭურვოს ყველა საჭირო ინვენტარით და გაიზარდოს წიგნადი ფონდი.“ ექსპერტის მითითებით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იყო ძალიან პატარა, ძირითადად შემოიფარგლებოდა ელექტრონული მასალით, სადაც მასალებთან წვდომა ნამდვილად არსებობდა. ასევე, წვდომა ჰქონდათ საერთაშორისო ბაზებთან, თუმცა თვითონ ბიბლიოთკა იყო ძალიან მწირი. არ იყო პრინტერი, სკანერი და მსგავსი ტიპის აღჭურვილობა. ექსპერტის მითითებით, ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ ტექნიკა ჰქონდათ, თუმცა ბიბლიოთეკაში არ იყო შეტანილი.

3.2 სტანდარტის კომპონენტი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. „უზრუნველყავით, რომ პროგრამის შემდგომი განვითარება ეფუძნებოდეს უმაღლესი განათლების უახლეს დარგობრივ მახასიათებლებს მედიცინაში.“ - სტუდენტი ექსპერტის მითითებით, აღნიშნული რეკომენდაცია შეეხებოდა ორ მთავარ საკითხს - საკომუნიკაციო უნარების კურსის განხორციელებასა და სამეცნიერო მუშაობის განვითარებას. საკომუნიკაციო უნარებთან დაკავშირებით, სტუდენტმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით აუცილებელი იყო გამოყოფილი ყოფილიყო საკომუნიკაციო უნარები საგნად და ჰქონოდა მინიჭებული 10 კრედიტი მაინც. უნივერსიტეტის განცხადებით პროგრამაში, თითოეულ საგანში საკომუნიკაციო უნარები ჩაშლილი იყო და შემდეგ ჰქონდა მინიჭებული კრედიტები. სტუდენტი-ექსპერტის მითითებით, საკომუნიკაციო უნარების საგნისთვის შემუშავებული უნდა ყოფილიყო სილაბუსები, რაც არ მომხდარა. კლინიკური უნარ-ჩვევები, სადაც შედიოდა ასევე სწრაფი საკომუნიკაციო უნარები ინტეგრირებული იყო სხვა საგნებში და არ ყოფილა ცალკე გამოყოფილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ცალკე გამოყოფილი იყო კვლევის მეთოდები, სამეცნიერო ნაშრომის მომზადება და ასე შემდეგ. როდესაც დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვდა კლინიკური უნარების სწავლებას, იქ არსად არ ეწერა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ცალკე საგანი. კლინიკურ უნარებზე გამოყოფილი იყო 16,5 კრედიტი, აქედან 8 კრედიტი ცალკე ისწავლებოდა, ხოლო დანარჩენი იყო ინტეგრირებული. დარგობრივი მახასიათებელი არ ითხოვდა რომ კომუნიკაციები ცალკე საგნად ყოფილიყო გამოყოფილი.

სტუდენტი ექსპერტი გადავიდა შემდეგი რეკომენდაციის განხილვაზე, რომელიც იყო „აკადემიური პერსონალისთვის რეკომენტირებულია PBL და CBL სექციების დაინტეგრირებული კურიკულუმის შესახებ ტრენინგების ჩატარება“ - სტუდენტი ექსპერტის თქმით, ამ მხრივ უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრესი. დაგეგმილი უნდა ყოფილიყო, მაგალითად, რამდენი ადამიანი იქნებოდა ჯგუფში, რაც უნივერსიტეტის მხრიდან შესრულდა. თუმცა ტრენინგები ჯერ არ იყო ჩატარებული და როდესაც უნივერსიტეტს მიეცემოდა შესაძლებლობა სტუდენტები მიეღო, შემდეგ დაიგეგმებოდა ტრენინგების ჩატარება.

„გააფართოვეთ არჩევითი კურსების არჩევანი, როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამებში“ - სტუდენტი ექსპერტის მითითებით, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებული არ ყოფილა, არჩევითი საგნების რაოდენობა არ გაზრდილა არცერთ კურსზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორი მდგომარეობა იყო არჩევითი კურსების თვალსაზრისით. მას პასუხი გასცა ექსპერტმა და აღნიშნა, რომ არჩევითი საგნები დამატებული იყო, თუმცა კიდევ მეტი არჩევითი საგნის დამატებასთან დაკავშირებით იყო მათი მხრიდან სურვილი გამოთქმული. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ გაფართოვებულიყო არჩევითი საგნების ოდენობა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების სისტემას, რომლის მიხედვითაც შეფასების სისტემაში უნდა გათვალისწინებულიყო დარგის სპეციფიკა და არ ყოფილიყო სტანდარტული ყველა საგნისათვის. აღნიშული რეკომენდაციიდან ჩანდა, რომ სტანდარტული შეფასების სისტემა იყო საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი. შეფასების სისტემის მეთოდი, რაც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მხრიდან ექსპერტებისათვის რთულად გასაგები აღმოჩნდა. ექსპერტის აზრით, სტუდენტისთვის ეს ყველაფერი მარტივად გასაგები უნდა ყოფილიყო, მას გაუჩნდა კითხვა თუ რამდენად შეძლებდნენ მსგავსი შეფსების მეთოდის მარტივად გაგებას სტუდენტები.

„შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებას და ხარისხის უზრუნველყოფას.“ ექსპერტის მითითებით აღნიშნული რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, შესაბამისად ისევ დატოვეს იგი ძალაში.

„რეკომენდებულია მომზადებულ იქნას საკუთარი კლინიკური უნარჩვევების ცენტრი, სადაც მოხდება ოსკის პილოტირება და ჩატარებისთვის მომზადება“ - სტუდენტი ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტს დაგეგმილი ჰქონდა ოსკის გამოცდები, სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, ფართიც გამოყოფილი იყო, თუმცა დაუსრულებელი იყო მშენებლობა. წინასწარი პილოტირებაც ჩატარებული არ ყოფილა.

„დაიგეგმოს მეტი ტრენინგი, რათა მმართველი ორგანოები კარგად იცნობდნენ შეფასების სისტემას“ - ექსპერტის მითითებით, აღნიშნული რეკომენდაცია შეფასების სისტემას ეხებოდა. დაისვა შეკითხვა, შეფსების სისტემა რამდენად კარგად ესმოდა აკადემიურ პერსონალს. აღმოჩნდა, რომ ისინიც ვერ ერკვეოდნენ დეტალურად ამ სისტემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებით დეტალურად გაეცათ პასუხები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არჩევითი კურსების რაოდენობა გარკვეულწილად გაზრდილი იყო. არჩევითი კურსებისათვის სტუდენტებს უნდა დაეგროვებინათ 16 კრედიტი, უნივერსიტეტს შეთავაზებული ჰქონდა 24 კრედიტი, საიდანაც თანდათან უნდა აერჩიათ კურსები. მაგალითად, მეორე სემესტრში იყო ორი არჩევითი კურსი, საიდანაც ერთ-ერთი უნდა აერჩიათ სტუდენტებს. ამის შემდეგ, მეოთხე სემესტრშიც ისევ იყო დამატებით ორი არჩევითი კურსი.

დაწესებულების წარმომადგენლები კიდევ აპირებდნენ არჩევითი კურსების დამატებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა არჩევითი კურსები იყო თუ არა იერარქიულად დალაგებული. დაწესებულების წარმომდგენელმა კი უპასუხა, რომ საგნების ნაწილი იყო იერარქიულად დალაგებული. თუმცა ძირითადად არჩევით კურსებს წინაპირობები არ ჰქონია.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოხდა შეცდომა საბუთების წარმოგენისას და გამოიგზავნა მათი მხრიდან არასრულად (თარიღის გარეშე) შევსებული დოკუმენტაცია.
შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, დამსაქმებლებთან ურთიერთობა გულისხმობდა კონკრეტულ პირებთან ურთიერთობას. ის კონკრეტული პირები, რომლებიც იყვნენ საქმის კურსში, ვერ დაესწრნენ შეხვედრას საპატიო მიზეზების გამო. თუმცა, მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დამსაქმებლებთან უფრო მეტად უნდა ემუშავათ.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათი დეკანი იმავდროულად იკავებდა ადმინისტრაციულ პოზიციას ალადაშვილის კლინიკაში. მათი მხრიდან მიზანშეწონილი ვერ იქნებოდა დეკანისათვის მოეთხოვათ ადმინისტრაციული პოზიცია დაეტოვებინა და საქმიანობა მხოლოდ უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, უნივერსიტეტის საქმიანობის დაწყების მომენტიდან პირები, რომლებიც იკავებდნენ წამყვან თანამდებობებს გააკეთებდნენ არჩევანს უნივერსიტეტის სასარგებლოდ. საბჭოს თავმჯდომარე დაინტრესდა, თუ რამდენად შეძლებდნენ ეს ადამიანები, სრულყოფილად ჩართულიყვნენ საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ხომ არ შეეშლებოდათ ხელი დატვირთვის გამო ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებში. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმაოდ ცოტა იყო. მაგრამ ადმინისტრაციული პერსონალის დიდი ნაწილი მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობდა და არა სხვაგან, პარალელურად.
დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით მთავარი პრობლემა იყო სამეცნიერო ნაშრომის შეფასების საკითხები, რომელიც გაწერილი არ ჰქონდათ. ასევე, მისი მითითებით წარმოდგენილი იყო სქემა, სადაც იყო ახსნილი თუ როგორ ხდებოდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობა.მისი აზრით, მანამ სანამ უნივერსიტეტი არ საქმიანობდა, რთული იყო ამ ყველაფრის ზუსტად გაწერა და დაგეგმვა.
საუბარი გაგრძელდა ბიბლიოთეკის საკითხთან დაკავშირებით, რაზეც საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკა იყო ძირითადად ონლაინ რესურსებზე. მისი მითითებით, ბიბლიოთეკაში ერთროულად ეტეოდა 32 სტუდენტი. წიგნები ბეჭდური სახით ჰქონდათ დაახლოებით 230, მაგრამ არცერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებდა იმ ჩანაწერს, რომ თითო სტუდენტზე უნდა ყოფილიყო თითო ბეჭდური წიგნი. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელო ელექტრონული სახით ხელმისაწვდომი იყო. მისი მითითებით, ასევე უნივერსიტეტში იყო ქსეროქსისა და პრინტერის აპარატები, მართალია საკმარისი რაოდენობით არა, თუმცა ბიუჯეტში გაიწერა რაოდენობის გაზრდის საკითხი. დაწესებულების წარმომადგენლის თმით, უნივერსიტეტს სამეცნიერო ბაზებთან კავშირი ჰქონდა და ხელშეკრულება ყოველწელს თავიდან იდებოდა.
დარგობრივი მახასიათებელი არ მოითხოვდა, ცალკე საგნად სწავლებას. იგი მოითხოვდა, სწავლებას კლინიკურ გარემოში. რაც დაგეგმილია უნივერსიტეტის მხრიდან. ხოლო, PBL CBL ტრენინგების ნაწილი უკვე ჩატარებულია და მისი გაგრძელებაც იგეგმებოდა დაწესებულების მხრიდან. წარმომადგენელმა მიუთითა, რომ შესაძლებელი იყო თანამშრომლები ონლაინ ტრენინგებშიც ჩართულიყვნენ, რაზეც მსჯელობა მიდიოდა.
შეფასების სისტემასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მათი პროგრამა იყო მოდულური, რისი შეფასების მოდელიც თავად შეიმუშავეს და რაც ვერ იქნებოდა სხვა მოდელების მსგავსი. მისი მითითებით, უნივერსიტეტის თანამშრომლებსაც მოსწონდათ აღნიშნული შეფასების სისტემა.

საბჭოს წევრს შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გაუჩნდა კითხვა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულება ტერმინ „ყოვლისმომცველითი სისტემის“ აღწერაში. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხი გასცა, რომ შეფასების სისტემა იყო ისე აწყობილი, რომ მოიცავდა სილაბუსებში მითითებულ საკითხებს მთლიანად. ყველაფერი რასაც კი სტუდენტი აკეთებდა, გათვალისწინებული იყო შეფასების სისტემაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ შემოიღეს თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა შეფასების ხარისხის უზრუნველყოფას. თუმცა მისი საქმიანობა არ ყოფილა აქტიური. ხოლო, კლინიკური უნარჩვევების ცენტრთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაგეგმილი იყო მინიმუმ 10 სადგურის ქონა, მაგრამ პირველ მეორე კურსზე სულ 4 სადგურის ქონა იყო საჭირო. თავად პილოტირება ვერ ჩატარდებოდა, იმიტომ, რომ სტუდენტები არ ჰყოლია უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, რჩევები და რეკომენდაციები იყო ძალიან სასარგებლო. ტრენინგების ჩატარებას რაც შეეხება უნივერსიტეტი გეგმავდა დამატებით ამის განხორციელებასაც. მისი განმარტებით, აუცილებლად დაიხვეწებოდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაც. კოვიდთან დაკავშირებით მოფიქრებული ჰქონდათ რის გაკეთებასაც აპირებდნენ, ონლაინ ლექციების ჩატარება ყველაზე რთული იყო სამედიცინო პროგრამაზე. იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა ისეთი საგნები და ისეთი კურსები, რომელთა ჩატარება პრინციპულად ვერ მოხდებოდა ონლაინ, ვირტუალური ლაბორატორიების არსებობის გარეშე. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრს გაუჩნდა კითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან. მას დააინტერესა, დაწესებულებას თუ გააჩნდა რეგულაციები, გარკვეულ მნიშვნელოვან თანამდებობებზე მხოლოდ მათთან ემუშავა პერსონალს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირებს უნდა ემუშავათ მხოლოდ უნივერსიტეტში და არა პარალელურად სხვა თანამდებობაზე. მაგალითად, უნივერსიტეტის დეკანი სხვა დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე ვერ იმუშავებდა. შესაძლებელი იქნებოდა აკადემიური პოზიციის დაკავება პარალელურად, თუმცა არა ადმინისტრაციულის. ასევე, მან დაამატა რომ აფილირების ხელშეკრულებაში ზედმეტად მკაცრი პირობები იყო ჩადებული. შემდეგ მათ ეს პირობები შეარბილეს.

საბჭოს წევრს დააინტერესა უნივერსიტეტის კლინიკური ბაზები რა მდგომარეობაში იყო, რამდენად შეეძლებოდა სტუდენტების მიღება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ მთავარი კლინიკური ბაზა იყო ალადაშვილის კლინიკა. წლების განმავლობაში ალადაშვილის კლინიკაში გაუვლია უამრავ სტუდენტს კლინიკური ტრენინგები. შალვა პეტრიაშვილმა კლინიკურ ბაზასთან დაკავშირებით დაამატა, რომ მათი ძირითადი კლინიკური ბაზა იყო ალადაშვილის სახელობის კლინიკა, რომელიც წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკა. ყველა ექიმს, ვინც მოღვაწეობდა აქტიურად, სწავლება ამ კლინიკაში ჰქონდა გავლილი. კლინიკაში იყო ყველანაირი პირობა, ახალი აუდიტორიები, თანამედროვე შენობა, ყველა პროფილის განყოფილება სათანადო ტექნიკით აღჭურვილი. ასევე, კიდევ ერთი ბაზა იყო ყოფილი ბალნეოლოგიური საავადმყოფო, სადაც იყო სამდიცინო უნივერსიტეტის ბაზა.

თამარ ზარანდიას გაუჩნდა რამდენიმე შეკითვა. მან გადახედა საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდს. მისი ყურადღება მიიქცია გარკვეულმა ინფორმაციამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტთან დაკაცშირებით. „2020 წლის 10 აგვისტოს უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი, ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მიზნით“ - საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, აღნიშნული განმარტება გაუგებარი იყო, მისი აზრით ინფორმაციის დაზუსტება უმჯობესი იქნებოდა. ასევე, თამარ ზარანდიამ მიუთითა, რომ საგამანათლებლო დაწესებულების ძირითადი აქცენტი იყო დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა განეხორციელებინათ. ავტორიზებულ რეჟიმში ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის დამატებისას, არსებობდა ძალიან ბევრი რეკომენდაცია. თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა

დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციების შესრულების საკითხში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებული იყო. ასევე, გაიზარდა თანამშრომლების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა კომპიუტერების თაობაზეც აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს იყო 14 ხოლო რეალურად 18 კომპიუტერი იყო დაწესებულებაში. გარდა ამისა, გადაწყდა ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამაზე 16 სტუდენტის მიღების საკითხი, რადგან გარანტირებულად ჰქონდა დაწესებულებას მათთან პრაქტიკის გავლის საშუალება. თამარ ზარანდიამ მიუთითა კიდევ ერთ რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვით მიზანშეწონილი იყო დაწესეულებას შეეძინა ბეჭდური ლიტერატურა, მისი აზრით ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული რეკომენდაცია ისევ აქტუალური იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ თუ კი საუბარი იყო მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაზე, სადაც მიღებული იქნებოდა 16 სტუდენტი, მაშინ უნივერსიტეტში უკვე არსებული ქსეროქსისა და პრინტერის აპარატები საკმარისი იქნებოდა მათთვის. თამარ ზარანდიას განმარტებით, საბჭოსთვის მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების მხრიდან დაენახათ მზაობა და პოტენციალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უნივერსიტეტის დამფუძნებლების სახელით განმარტა, რომ ყველაფერი რაც დასჭირდებოდა პროგრამებს, იქნებოდა ეს მატერიალური თუ სხვა უზრუნველყოფა, ამ ყველაფერს დამფუძნებლები უზრუნველყოფდნენ. შემდგომ მან მიუთითა, თუ ვინ იყვნენ დაწესებულების დამფუძნებლები.

საბჭოს წევრმა ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. მისი თქმით, ტრენინგებთან, ასევე არჩევით საგნებთან დაკავშრებით დაწესებულების ინტერესის სფეროში შედიოდა ნაბიჯების გადადგმა, პროგრამის განვითარება. მისთვის გასაგები იყო, რომ დაწესებულების მხრიდან გამოითქვა სურვილი ბიბლიოთეკის უკეთესად აღჭურვისა. მან განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან ის სტანდარტი, რომელიც სამ ქვესტანდარტს შეიცავდა შეფასებული იყო მეტწილად უარყოფითად - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. საბჭოს წევრის განმარტებით დასკვნიდან გამომდინარე, ექსპერტებს უფრო მეტად უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდათ ვიზიტის შემდეგ, ვიდრე დადებითი. მისი თქმით, თუ კი უნივერსიტეტი მიიღებდა სტუდენტს ახლო მომავალში, მას არ დახვდებოდა მთელი რიგი კომპონენტები წესრიგში, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ავტორიზაციის სტანდარტების თვალსაზრისით. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გაუჩნდა საბჭოს წევრს კითხვა, თუ რამდენად იყო დაწესებულება მზად აღნიშნულისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორი კვირის შემდეგ თუ კი მიიღებდნენ სტუდენტებს და ამის შესახებ ეცოდინებოდათ, ყველაფერი მზად იქნებოდა დაწესებულებაში. მისივე განმარტებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ძირითადი მიზეზი იყო მტკიცებულებების არ არსებობა, ხოლო მტკიცებულებები ვერ ექნებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტების მიღების გარეშე. თამარ ზარანდიამ დააზუსტა, რომ ეს საკითხები ექვემდებარებოდა შემდგომ კონტროლს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა. საბჭოს თავჯდომარის თქმით, ექსპერტების და დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები გასაგები და ნათელი იყო.

საბჭოს თავჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:37 წუთზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 16:01 წუთზე.

საბჭომ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე იმსჯელა, რომ ავტორიზაციის პირობების შემოწმების დასკვნა ეფუძნებოდა ინსტიტუციურ შეფასებას, რომელიც განხორციელდა მაშინ,

როდესაც ინსტიტუციას ჰქონდა მხოლოდ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, თუმცა მანამდე საბჭოს გადაწყვეტილებით ინსტიტუციამ მიიღო ავტორიზებულ რეჟიმში ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის განხორციელების უფლება. საბჭოს მხრიდან გათვალისწინებული იყო დაწესებულების პოზიცია, ასევე განვითარების მზაობა. მნიშვნელოვანი იყო მოსაზრებაც, რომ დღევანდელმა კოვიდსიტუაციამ აჩვენა, რომ ამ მიმართულებით მწვავე აუცილებლობა იყო ჯანდაცვის მენეჯმენტის კუთხით ყოფილიყო კვალიფიციური პროგრამები. საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის უფლების მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის განაცხადში ასახული ინფორმაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 80-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.
საბჭომ დააყენა შუამდგომლობა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, 2021 წლის აპრილში.

2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და

შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ რეკომენდაციების შესასრულებლად შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის საბჭომ ყველა რეკომენდაცია არ გაიზიარა სხდომაზე, ჯგუფმა იმუშავა ყველა რეკომენდაციაზე და მოამზადა პასუხი.
დაწესებულების სპიკერმა ნინო ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი შეეცადა ყველა რეკომენდაციაზე გაეცა პასუხი. პირველ სტანდარტში საუბარი იყო მისიასა და სტარატეგიაზე, ყველაზე მთავარი შენიშვნა დაწესებულებას მიღებული ჰქონდა უშუალოდ ბიუჯეტის და სტრატეგიის ბიუჯეტის ბმასთან დაკავშირებით. ნინო ბოჭორიშვილის მითითებით, სტრატეგიის მიზნები ერთიანობაში მოიცავდა შვიდივე სტანდარტს. ბიუჯეტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ არასწორად ჰქონდათ დაანგარიშებული ბიუჯეტი, მათ გაიაზრეს აღნიშნული შეცდომები. მაგალითად, აქტივები არ იყო დაანგარიშებული, გარკვეულწილად ჩანდა ნაკლები ვიდრე იყო რეალურად. დაწესებულების მხრიდან გათვალისინებული იყო აქტივების საკითხი, ასევე ავტორიზაციის შემდგომ „იმპერალ ინგლიშ“ აკადემიასთან გააფორმეს ხელშეკრულება, რამაც გააჩინა ახალი შესაძლებლობები. ასევე, უნივერსიტეტს ჰყავდა ახალი თანადამფუძნებელი, georgian international educational investment. სპიკერის თქმით, ყველაფრის გათვალისწინებით ბიუჯეტი საგრძნობლად შეიცვალა, შესაბამისად ამ ბიუჯეტმა მათ მისცათ ყველა სტრატეგიული მიზანი. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში იმსჯელეს ცალცალკე ყველა მიზანთან დაკავშირებით, ყველა სტანდარტთან მიმართებაში. მიუხედავად პანდემისაა, სამუშაო ჯგუფს არ შეუწყვიტავს ონლაინ მუშაობა. ბიუჯეტის ნაწილი იყო კვლევაზეც, ინტერნაციონალიზაციაზეც, შესაბამისად მეშვიდეს მესამე სტანდარტშიც გადაიხედა და ახალი ანგარიში იძლეოდა იმის საშუალებას ბიუჯეტი რელურად განსაზღვრული ყოფილიყო და მორგებულიყო ყველა სტანდარტს.
მისიასთან დაკავშირებით დაწესებულების სპიკერმა მიუთითა, რომ რეკომენდაცია ცნობადობის გაზრდას ეხებოდა. შესაბამისად მეტი ცნობადობისათვის დაწესებულების მხრიდან მოხდა სემინარებისა და შეხვედრების ჩატარება.
მეორე სტანდარტი დაკავშირებული იყო სტრუქტურასა და მართვის ნაწილთან, სადაც პირველივე რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციისათვის დამატებითი რესურსების გამოყოფას შეეხებოდა. დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და გამოიყო ბიუჯეტიც, ასევე განხორციელდა ძალიან ბევრი აქტივობა. კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია იძლეოდა მონიტორინგის საშუალებას. ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც იყო, როგორც 2 ასევე 1.2 ქვესტანდარტში, სპიკერმა განაცხადა, რომ თავიდან გადაიხედა და შედგა პერსონალის მართვის პოლიტიკა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ამიტომ სტრატეგიისა და მისიის ნაწილი სრულად იქნა გაზიარებული საგანმანათლებლო დაწესეულების მიერ, ასევე პერსონალის შეფასების ნაწილიც. მათ მიერ შეიქმნა ახალი კითხვარები და გაკეთდა შიდა ანგარიშები. 2019 წლის შესრულების ანგარიშზე იმუშავა ასევე ჯგუფმა, რომელმაც განიხილა და გადახედა მას.
მესამე სტანდარტზეც ისაუბრა ნინო ბოჭორიშვილმა, მან განმარტა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნები იყო მთავარი ინდიკატორი და უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. შრომის ბაზრის კვლევა გავლილი ჰქონდა დაწესებულებას ყველა პროგრამასთან მიმართებით. ყველა მოქმედი საგანმანათლებლო აკრედიტირებული იყო, განმეორებითი აკრედიტაციაც წარმატებით იქნა გავლილი. ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ამ მიმართულებით რეკომენდაცია გაიცა უცხოენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდასთან. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ჰქონდა ორი უცხოენოვანი

სასწავლო კურსი, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას ხუთი უცხოენოვანი სასწავლო კურსი, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტს ერთი, სისხლის სამართალის სამაგისტრო პროგრამას ორი, ხოლო კერძო სამართალს ოთხი. თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ ვინ იყო ჩართული ამ პროგრამებში უცხოელები, თუ ქართველი სპეციალისტები კითხულობდნენ უცხო ენაზე ლექციებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უმეტეს შემთხვევაში იყვნენ ქართველი წარმომადგენლები, თუმცა სამართალზე ჰყავდათ გერმანელი ლექტორი, რომელიც პერიოდულობით ჩამოდიოდა საქართველოში და ერთვებოდა პროგრამის განხორციელებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ 14 დეკემბერს იქნებოდა ჩეხეთიდან ერთ-ერთი საჯარო ლექცია და სემინარი. თამარ ზარანდიას აზრით, ეს რთული მოსაგვარებელი საკითხი იყო და იგი დაინტერესდა, იყო ეს ერთჯერადი საჯარო ლექცია თუ კურსი, რომელიც იკითხება სტუდენტებისათვის და შეთვაზებული იყო, როგორც არჩევითი საგანი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს იყო კურსი, რომელიც შეთავაზებული იყო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სამ წელზე მეტია. როგორც უცხო (ინგლისურ) ენაზე, ასევე ქართულ ენაზე. ჯგუფები რომლებიც უცხოენოვან მიმართულებას აირჩევდნენ საგანი წაეკითხებოდათ ინგლისურად, დანარჩენებს კი ქართულად. მათ ჰყავდათ მოწვეული პროფესორები ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, პოლონეთიდან. თამარ ზარანდიას თქმით, პანდემიის პერიოდში განათლება მეტად მობილური გახდა და დისტანციურად პროფესორის ჩართვა გამარტივდა.
დაწესებულების სპიკერმა განაგრძო საუბარი მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს ნაწილიც ბიუჯეტს შეეხებოდა, რაზეც დასაწყისშიც ისაუბრა. შესაბამისად, აქაც მოცემული იყო, რომ ბიუჯეტი ნამდვილად გაიზარდა, ბევრი მონოგრაფია და წიგნი იყო უკვე გამოსული უნივერსიტეტის დაფინანსებით. „პროფესიული განვითარება უნდა იქცეს პრიორტეტად“ - მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნინო ბიჭორიშვილმა განმარტა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის აღნიშნული წარმოადგენდა პრიორიტეტს. ამ მიმართულებით ჩატარდა არაერთი ტრენინგი, სემინარი, იყო შეთანხმებები იმაზეც, რომ პროფესორებს ერასმუს პლიუსის ფარგლებში უნდა მიეღოთ გაცვლით პროგრამებში კონფერენციებში, ლექციებში მონაწილეობა.
„უნდა ამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება ქულებთან დაკავშირებით“ - ეს იყო მეხუთე სტანდარტი, რაზეც საბჭოს სხდომაზეც ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ინფორმირება ყოფილიყო მაღალი, გასაჩივრების მექანიზმებიც გამოყენებული იყო. ამ მიმართულებით გაიდლაინის სახით დოკუმენტი შეიქმნა და ყველას მიეწოდა ინფორმაცია. თამარ ზარანდიას გაუჩნდა შეკითვა გასაჩვრების მექანიზმთან დაკავშირებით, მისთვის გასაგები იყო დისციპლინებთან დაკავშირებით გასაჩივრების მექანიზმის არსებობა, რასაც ალბათ საგნის წამყვანი პროფესორი განიხილავდა. იგი დაინტერესდა, თუ არსებობდა დაწესებულებაში გასაჩივრების მექანიზმი, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ კი სტუდენტმა დაცვა განახორციელა კომისიასთან, შემდგომ უკმაყოფილო დარცა სეფასებით. ასეთ დროს, თუ ითვალისწინებდა უნივერსიტეტი რეგულაციებით კომისიური წესით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. ნინო ბიჭორიშვილმა განმარტა, რომ აკრედიტაციის პროცესში სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შესრულების წესები და სტანდარტების გადამუშავება მოხდა. ამ ეტაზე, უკვე გათვალისწინებულია კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, რა დროსაც შეიქმნება კიდევ ახალი კომისია, რომელიც თავიდან განიხილავდა საკითხს. თამარ ზარანდია ასევე დაინტერესდა, თუ არსებობდა დაშვების რაიმე წინაპირობები, თუ სტუდენტს ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო კომისიური წესით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება? დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აპელაციის წესით საკითხის განსახილველად შეიქმნებოდა კომისია, რომელიც ახალი წევრებით დაკომპლექტდებოდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა გასაჩივრების შემდეგი ეტაპი იქნებოდა თუ არა სასამართლო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გასცა პასუხი, რომ მსგავსი პრეცენდენტები

უნივერსიტეტში იყო. თამარ ზარანდიას განმარტებით, როდესაც გადაწყვეტილება კომისიური იყო, მიკერძოების არსებობის საკითხიც ნაკლებ სავარაუდო ხდებოდა.
სპიკერმა საუბარი განაგრძო მეექვსე სტანდარტზე, სადაც იყო ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებული საკითხები. დაწესებულებამ ახალ ეკონომიკურ აგენტებთან გააფორმა ხელშეკრულება. მხარდაჭერასა და ინტერნაციონალიზაციას რაც შეეხება, ნინო ბოჭორიშვილმა მიუთითა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გამოჩნდა ბიუჯეტში. აისახა აკადემიური პერონალის მოტივირების არაერთი შემთხვევა, მაგალითად მოხდა სამი ახალგაზრდა კადრის დაწინაურება, პერონალის გამოცემულ რამდენიმე მონოგრაფიაზე გაიცა სრული დაფინანსება, დაფინანსდა აკადემიური პერონალი საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის წევრობა, საზღვარგარეთის კონფერენციებში მონაწილეობა დაფინანსდა, ასევე დაფინანსდა ოთხი საავტორო სტატია. სპიკერის მითითებით უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებდა.
ვარნას, ინგოლშტატის, დეგელდორფის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან, კლაიპედას უნივერსიტეტთან არსებობდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ნინო ბიჭორიშვილის თქმით, კოვიდის პირობებში, დისტანციურად არაერთი შეხვედრა გაიმართა. შესაბამისად, აკადემიური პერსონალისთვის რეგულარულად მოხდა სიახლეების შეთავაზება. პერსონალს უახლოეს ხანებში ჰქონდა 11 ნაშრომის გამოქვეყნება, მათ შორის 4 უნივერსიტეტის ხელშეწყობით.
სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტთა ჩართვის მექანიზმებთან დაკავშირებით, აქცენტი გაკეთდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ნაშრომების პლაგიატის პროგრამაზე შესამოწმებლად გაგზავნაზე. დაწესებულება ცდილობდა მეტი კონფერენციებისათვის ხელშეწყობას, სტუდანტთა აქტივობის გაზრდას. ორი სამეცნიერო სტუდენტურო კონფერენცია გაიმართა კოვიდ პრობლემებთან დაკავშირებით, გაკეთდა ცალკე სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით. დაარსდა სამეცნიერო კლუბიც და შეიმუშავეს ასევე კლუბის დებულება. თამარ ზარანდია დაინტერესდა, კვლევით პროექტებს თუ აფინანსებდა უნივერსიტეტი. ნინო ბოჭორიშვილის თქმით, არსებობდა ორი მიმართულება. ერთი, რომელიც ხორციელდებოდა, როგორც სავალდებულო პროგრამა, ხოლო მეორე, როგორც საგრანტო პროექტი. საგრანტო პროექტი ფინანსდება უნივერსიტეტის მხრიდან. საბჭოს წევრი დაინტერესდა, შუალდური მონიტორინგი როდის კეთდებოდა, პროცენტულად რა რაოდენობის სტუდენტები ერთვებოდნენ პროექტებში. ნინო ბიჭორიშვილის მითითებით, 20 პროცენტამდე ჰქონდათ სტუდენტთა ჩართულობა გაწერილი. ხოლო საკვლევი თემის ხანგრძლოვოვაზე იყო შუალედური მონიტორინგის პერიოდი დამოკიდებული. ასევე, საბჭოს წევრის მხრიდან იყო შეკითხვა გარე დამკვირვებლის ყოლასთან დაკავშირებით. ნინო ბიჭორიშვილის თქმით გარე პირიც იღებდა მონაწილეობას და შემფასებლებში ასევე სტუდენტიც ჰყავდათ. საბჭოს წევრის განმარტებით სამეცნიერო კომპონენტში ხშირად არ არის ხოლმე, მაგრამ მონიტორინგი აუცილებლად სტუდენტის ჩართულობით უნდა მიმდინარეობდეს. თამარ ზარანდია დაინტერესდა ეს იყო სპეციალური კომისია თუ ფაკულტეტის საბჭოს ფორმატში ხდებოდა შეფასება. სპიკერის თქმით, ეს იყო სპეციალური კომისია, მოწვეული პირებისა და გარეშე პირების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია, რომ შიდა სტრუქტურა დახმარებას უწევდა საგრანტო კონკურსის შედგენას. ამ მიზნისათვის, დადებულია სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან ხელშეკრულებები, ხდება ასევე მათი მოწვევაც.
საბჭოს წევრის მითითებით, საერთაშორისო ურთიერთობებზე საინტერესო საკითხები იყო და სურდა ამის მოსმენა. საბჭოს წარმომადგენელმა განმარტა საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თემები. უნივერსიტეტს ჰქონდა დაახლოებით 25 დაწესებულებასთან საერთაშორისო ურთიერთობები, ამათგან ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის პროექტები, უმრავლესობა იყო ერასმუს პლიუსის პროექტები. უნივერსიტეტს ჰქონდა ერასმუსი დიდ ბრიტანეთთან, ასევე ირლანდიასთან, რომლის ფარგლებშიც გაცვლითი პროგრამა განხორციელდა. კოვიდის სიტუაციის გამო სიტუაცია შეიცვალა, შემდეგ ბრიტანეთი

ევროკავშირიდან გავიდა, მაგრამ აღნიშნული ურთიერთობა გადავიდა სხვა რაკურსში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტებს შორის ონლაინ ურთიერთობა ისევ გრძელდებოდა. უნგრეთთან ერასმუსის გაცვლითი პროექტიც მოიგო საგანმანათლებლო დაწესებულებამ. გაცვლა რეალურად ჯერ არ იყო დაწყებული, რადგან უნგრული მხარე სიტუაციის სტაბილიზაციას ელოდებოდა. ჰოლანდიასთან კი რამდენიმე წელი ტურიზმის, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მიმდინარეობდა გაცვლითი პროგრამები. დაახლოებით ოცამდე სტუდენტმა ისარგებლა ამ პროგრამით. დაესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა გერმანიასთან, გერმანელი მაგისტრები ჩამოდიოდნენ საქართველოში და ესწრებოდნენ კურსებს ტურიზმის მიმართულებით.
თამარ ზარანდია დაინტერესდა, რა ენაზე მიმდინარეობდა ტურიზმის პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კურსები მიმდინარეობდა უწყვეტი განათლების ცენტრის რეჟიმში. უნივერსიტეტს ჰქონდა ასევე კავშირი დიდი ბრიტანეთის ბირმინგემის კოლეჯთან და იმპერიალ ინგლიშის აკადემიასთან. უნივერსიტეტს შეეძლო იმპერიალ ინგლიშ აკადემიის სახელით სარგებლობა, რაც გულისხმობდა ონლაინ ენის სწავლებას, თუმცა ეს არ იყო დამოუკიდებლად სწავლება, ამ პროცესში ჩართული იყო პედაგოგიც. აღნიშნული ხელშეკრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა კოვიდის პირობებში, როდესაც გართულდა კლასში კომუნიკაცია. ხდება შესაბამისად სერტიფიცირება, თავართქილაძის უნივერსიტეტში მოხდა ასევე უცხოელი პედაგოგების ჩამოყვანა, ლექტორების გადამზადება საერთაშორისო სერთიფიკატის ასაღებად. უნივერსიტეტის ლექტორებმა ჩააბარეს საერთაშორისო გამოცდა, რომელიც ითვალისწინებდა ენის სწავლების საერთაშორისო სერთიფიკატის ფლობას. ეს სერთიფიკატი ლექტორებმა მიიღეს. დაწესებულებას ასევე ჰქონდა ურთიერთობა ლიტვისა და ჩეხეთის უნივერსიტეტებთან. გარდა ამისა, მენდელის უნივერსიტეტის პროფესორი 15 დეკემბერს ჩაატარებდა კურსს. იყო ასევე ჩართვა ჰააგიდან ტრეფიკინგის თემაზე ჩატარდა საინტერესო საჯარო ლექცია. ჩაერთო ასევე ჰააგაში საქართველოს წარმომადგენელი - გოგი გახარია.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ინტერნაციონალიზაციაზე საუბრის დროს თითქოს გვერდს უვლიდნენ პოსტსაბჭოურ სივრცეს და აქცენტი კეთდებოდა ევროპაზე. თუმცა, უნივერსიტეტს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა კიევის საავიაციო უნივერსიტეტის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტთან და იურიდიულ ფაკულტეტთან. მათთან ერთად დაფინანსდა ყოველწლიური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. თავართქილაძის უნივერსიტეტშიც მოხერხდა ამ კონფერენციის ჩატარება, სადაც ოცამდე უცხო ქვეყნის უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა, მონაწილეობდა გერმანია, პოლონეთი, ჩინეთი, უკრაინა და ასე შემდეგ. უნივერსიტეტს სურდა ასევე პოლონეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება და პოზიციების გაძლიერება.
თამარ ზარანდიას განმარტებით ჩატარდა ძალიან დიდი და პასუხისმგებლიანი სამუშაო, რაც მისასალმებელი იყო. შემდეგ მან დააყენა საკითხი კენჭისყრზე, რომ დამტკიცებულიყო წარმოდგენილი ანგარიში.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79-ე მუხლის მე-6პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:45 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ